მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ოქტომბერი (ხეშვანი) №10 (483) (5782) 2021

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ვიზიტი ისრაელში

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში ლაშა ჟვანია იტყობინება, რომ ისრაელის ვიცე-პრემიერისა და იუსტიციის მინისტრის გიდეონ საარის მიწვევით, ისრაელში იმყოფებოდა საქართველოს იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე. ორი მინისტრის შეხვედრებზე განიხილებოდა სამოქალაქო და საჯარო რეესტრების თანამშრომლობა, ლეგალური დასაქმების სამართლებრივი საფუძვლების შექმნისათვის ერთობლივი მუშაობის, ისრაელში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სამართლებრივი სტატუსის, პენიტენციალური სისტემების კომუნიკაციის საკითხები.

სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ურთიერთსასარგებლო საკითხები იქნა განხილული შინაგან საქმეთა და სახელმწიფოს უსაფრთხოების მინისტრებთან შეხვედრებისას.

EAJC EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

ბაბიი იარის ტრაგედიის 80 წლისთავი

უკრაინაში ბაბიი იარის ტრაგედიის 80 წლისთავი ფართოდ აღინიშნა. ამ თარიღს დაამთხვია თავისი ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში ისრაელის პრეზიდენტმა იცხაკ ჰერცოგმა.

ევრაზიის ებრაელთა კონკრესიდან კი ოფიციალურ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ეაეკ-ის პრეზიდენტის მიხეილ მირილაშვილის მეთაურობით, ერთობ წარმომადგენლობითი დელეგაცია ჩავიდა. ეაეკ-ისა და უკრაინის ებრაელთა კონფედერაციის შემწეობით გაიმართა კინოფესტივალი „ჰოლოკოსტი. ჩვენ გვახსოვს“. ფესტივალი გაიხსნა შვეიცარიისა და გერმანიის ერთობლივი ნაწარმოებით „ როგორ მოიპარა ჰიტლერმა ვარდისფერი კურდღელი“. ტრაგედიის 80 წლისთავთან დაკავშირებით, ეაე კონგრესისავე ხელშეწყობით, გამოვიდა წიგნი მსფლიოს ხალხთა მართალნი. უკრაინა“

6 ოქტომბერს ბაბიი იარში გაიხსნა მასიური მკვლელობის მსხვერპლთა მემორიალი. მემორიალის გახსნას ესწრებოდნენ უკრაინის, ისრაელის, გერმანიის, ალბანეთის პრეზიდენტები, სხვა საპატიო პირნი. ცერემონიალზე სიტყვა წარმოსთქვა ეაე კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა.

„ხესედ ელიაჰუს“ ახალი ხელმძღვანელი

ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია, რომ საქველმოქმედო ორგანიზაცია „ხესედ ელიაჰუს“ ხელმძღვანელი ღირსეული პიროვნება და ჩინებული მეთაური ორგანიზაციისა, რეზო შათაშვილი ამ რამდენიმე თვის წინათ გამოაკლდა თბილისის ჯამაათს.

ჯოინთმა, რომლის ეგიდითაც მუშაობს „ხესედ ელიაჰუ,“ გამოაცხადა კონკურსი ამ თანამდებობის დასაკავებლად. „ხესედ ელიაჰუს“ ხელმძღვანელობის მსურველი აღმოჩნდა 9 ადამიანი — ამდენი განაცხადი შევიდა დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად. ჯოინთის მიერ შერჩეული იქნა თბილისის ებრაული თემის ერთ-ერთი წევრი — იაკობ პალაგაშვილი. ჯოინთის წარმომადგენელი კავკასიაში ზოჰარ დავიდი მიიჩნევს, რომ იაკობ პალაგაშვილი გახლავთ „პროფესიული გამოცდილების მქონე ახალგაზრდა.“

მივესალმოთ ამ ახალგაზრდა ებრაელი კაცის დანიშვნას ჯამაათის ცხოვრებისათვის მნიშვნელოვან თანამდებობაზე და წარმატება ვუსურვოთ!

მამის ნათელი სხივი

ლ. მეგრელიშვილი — ფოთის საპატიო მოქალაქე

ცნობილი ბიზნესმენი, მრავალი ღირსებით შემკული პიროვნება შოთა მეგრელიშვილი ფოთში იღწვოდა. აქ ჩამოყალიბდა იგი, როგორც პიროვნება, ბიზნესმენი, ქველმოქმედი --მისი გარდაცვალების დღეს წლები გვაშორებს, მაგრამ ფოთში, და არა მხოლოდ ამ ქალაქში, დღესაც კარგად ახსოვთ ეს ერთობ თავმდაბალი, საქართველოზე, მის კულტურაზე შეყვარებული შოთა მეგრელიშვილი — ადამიანი, რომელიც ქართული პოეზიის მრავალ ნიმუშს ზეპირად წარმოთქვამდა და თავისი ცხოვრების წესით ებრაელი ხალხის ღირსებას განავრცობდა. დღეს მისი ქალიშვილი — ლია მეგრელიშვილი- პაპისმედოვა აცხადებს, რომ მას საზოგადოებაში წარადგენენ, როგორც შოთა მეგრელიშვილის შვილს — მამის კვალზე მავალმა ქალბატონმა, როგორც ჩანს, ეს პატივი დაიმსახურა, ე.ი წარადგენენ, როგორც მამისებრ მოყვარულს ადგილის დედისა, მამის საქმეთა გამგრძელებელს. ლია მეგრელიშვილი დღემდე გახლავთ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი, ამასწინათ კი თანაქალაქელებბა ფოთის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

ვულოცავთ ქ-ნ ლიას ამ წარმატებას!



ჯამაათისათვის

მენახემ ელაზარის ინიციატივა

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ მწერალმა გურამ ბათიაშვილმა გამომცემლობა „პალიტრა L“ დაკვეთით დაწერა წიგნი „დავით ბენგურიონი“. წიგნში ასახულია ამ გამოჩენილი სიონისტისა და ისრაელის სახელმწიფროების აღდგენისათვის დიდი მებრძოლის დავით ბენ გურიონის მოღვაწეობა — მან მიაღწია კიდეც მიზანს: თავის დიდ თანამოაზრეებთან ერთად განახორციელა თეოდორ ჰერცლის იდეალები — 1948 წ აღადგინა ისრაელის სახელმწიფოებრიობა (და არა შექმნა, როგორც ზოგიერთი მიიჩნევს) და მრავალი წელი გახლდათ ისრაელის პრემიერ-მინისტრი.

გურამ ბათიაშვილის ეს წიგნი, რომელიც გამოიცა სერიით „50 პერსონა. მათ შეჰქმნეს ისტორია“ (ტომი 34-ე), კარგად მიიღო ქართველმა მკითხველმა. საზოგადოებრივი გამოხმაურებაც საკმაოდ საინტერესო ჰქონდა, მაგრამ კავკასიის ქვეყნებში „ჯოინთის“ პირველი წარმომადგენელი მენახემ ელაზარი არ გახლდათ დარწმუნებული, რომ იმ მკითხველთა შორის, რომელიც წიგნს ეცნობოდა, ქართველი ებრაელობაც იყო. სწორედ ამის გამო, გამომცემლობისაგან შეისყიდა „დავით ბენ გურიონის“ 100 ეგზემპლიარი. კარგა ხანი გეგმავდა წიგნის ჯამაათის წევრებისათვის ჩამორიგებას, მაგრამ პანდემია ხელისშემშლელი გახლდათ. დიდი დღესასაწაულის — სიმხათ თორის საღამოს ბარიერი გადალახული იქნა.: ჯერ დიდი, ე.წ. ახალციხელების ბეით ქნესეთის ჯამაათს გადასცა ტირაჟის გარკვეული რაოდენობა, მერე კი „ბეით რახელის“ ჯამაათის წევრებს. აქ სალოცავის გაბაიმ იოსებ მოშიაშვილმა ჯამაათს წარუდგინა ბ-ნი მენახემ ელაზარი და წიგნის ავტორი, ისაუბრა მათს როლზე ჯამაათის ცხოვრებაში, გ. ბათიაშვილმა კი ილაპარაკა წიგნის კონცეფციაზე, მისი შექმნის ისტორიაზე.

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

დაკარგული დოლარები

ეთერ ფიჩხაძე

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკის ხმის მიწვევით ისრაელიდან შეერთებულ შტატებში გადავსახლდი. შთაბეჭდილებები იმდენი დამიგროვდა, , რომ მთელი წიგნიც ვერ დაიტევს. დღეს ერთ პატარა ეპიზოდს შემოგთავაზებთ. ამერიკის ხმის ქართული განყოფილების ერთ ერთი რედაქტორი, ბატონი ლეო ჩიქოვანი, მაღალი, ბრგე, წარმოსადეგი, სანდომიანი გარეგნობის ხანშესული კაცი იყო. სემიტური ცხვირი სულაც არ აუშნოებდა. ნამდვილი ქართული ხელგაშლილობითა და კეთილი ხასიათით გამოირჩეოდა. დასავლეთში გადახვეწამაც ვერ შესცვალა იგი. ინგლისურადაც ქართული აქცენტით ლაპარაკობდა. ტკბილმოუბარს ბაგეზე მუდამ ღიმილი ეფინა. მე როცა ამერიკაში ჩავედი, იმ დროს ბატონ ლეოს დიდი ხნის უნახავი დები ეწვიენ საქართველოდან — რამდენჯერ გამოვიტირეთ საყვარელი ძმა. ვინ იფიქრებდა, რომ ამ დროს მოვესწრებოდით — იმეორებდნენ დები, როცა ისინი ბატონ ლეოს ოჯახში მათს პატივსაცემად გამართულ ვახშამზე გავიცანი. ძმასავით თბილი, გამრჯე, კეთილი ქალები თავს მევლებოდნენ, არ იცოდნენ რითი ესიამოვნებინათ ჩემთვის. დაუვიწყარი იყო ის პირველი საღამო ამერიკელი ქართველის ოჯახში.

ბატონ ლეოს მეუღლე — ანი ეროვნებით გერმანელი იყო. თურმე, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გერმანიაში მოხვედრილმა 23 წლის ახალგაზრდამ იქ გაიცნო ანი. შეუყვარდა და მასთან ოჯახის შექმნა გადაწყვიტა. ხშირად იხსენებდა, როგორ მივიდა პირველად ანის ოჯახში. როცა შეევედი, მამამისი სადილობდა. მორიდებით ვიდექი. მას კი თავი არ აუღია , ჭამას განაგრძობდა. მე კი სადილზე მიპატიჟება კი არა, სკამის შემოთავაზებაც არ მაღირსა. ის იყო წასვლა დავაპირე, რათა ამ სახლში ფეხი აღარ დამეკარებინა, როცა საგარეოდ გამოპრანჭული ანი გამოვიდა, ხელი ჩამჭიდა და გარეთ გამომყვა. ჩვენ კინოში ვაპირებდით წასვლას. თავი შევიკავე, მაგრამ ის კი ვუთხარი — თუ გინდა, ჩემთან გადმოდი, ხელი მოვაწეროთ. შენი მშობლების ოჯახში კი ფეხის დამდგმელი აღარა ვარ. ანი მიმიხვდა გულისწუხილს და ღიმილით მითხრა — ეს გერმანელებში მიღებულია. ყურადღებას ნუ მიაქცევ, შენისთანა ხელგაშლილი აქ არავინ გეგონოსო.

მართლაც ხელგაშლილი იყო. ჩემს უმცროს ვაჟს, 11 წლის იციკს როცა კი შეხვდებოდა, ხან ათ, ხან ოცდოლარიანს ჩაუცურებდა ჯიბეში. ჩემმა ხვეწნამ არ გასჭრა — ბატონო ლეო ნუ აფუჭებთ ბავშვს, გთხოვთ... გაიღიმებდა და ჩაიბუბუნებდა — ნეტაი შენ, მაგით ბოვშის გაფუჭება ვის გაუგია...

თუმც, როგორც აღმოჩნდა, ამერიკული ჩვევებიც შეისისხლხორცა თურმე. ერთხე ბატონმა ლეომ და ქალბატონმა ანიმ თხოვნით მოგვმართეს მე და არონს (ჩემს მეუღლეს) თამარი (მათი ქალიშვილი) საზღვარგარეთაა, ჩვენ კი ორი კვირით მაიამიში (კალიფორნიის შტატი) მივემგზავრებით. მანქანის უპატრონოდ დატოვება არ გვინდა და თუ შეიძლება, თქვენს გარაჟში დავაყენებთო . იმ დროს ჩვენ ერთი მანქანა გვყავდა, გარაჟში კი ორი მანქანის დაყენება შეიძლებოდა. ჩვენ რა თქმა უნდა დავთანხმდით. ანიმ კატეგორიულად მოგვახსენა — პარკინგის საფასურს უეჭველად გადაგიხდითო. მე და არონმა შევიცხადეთ, ამას როგორ გვკადრებთ, ეს ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია — მოკლედ სასტიკი უარი ვუთხარით. სწორედ იმ დროს ჩვენ ატლანტაში მივემგზავრებოდით(ჯორჯიის შტატი)სადაც ქალაქის მერის მიწვევით საქართველოს დიდი დელეგაცია ჩამოდიოდა. მე ამერიკის ხმამ ამ ღონისძიების გასაშუქებლად მიმავლინა. იციკიც თან წავიყვანეთ. შესანიშნავი შეხვედრები მოუწყეს საქართველოს დელეგაციას. თბილისი და ატლანტა დაძმობილებული ქალაქები გახდნენ. 1990 წლის დასაწყისი იყო. ქალაქის მერმა ცალკე ოთახი გამოგვიყო დისიდენტებთან მრგვალი მაგიდის დისკუსიის ჩასატარებლად. ყურებს არ ვუჯერებდი, რა გაბედულად აკრიტიკებდნენ ისინი საბჭოთა წყობას, საქმიანად კამათობდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა ქალბატონი ირინა სარიშვილი. ზღვა მასალა დავაგროვე. შთაბეჭდილებებითა და „ნადავლით“ სავსე ვაშინგტონისაკენ მივემგზავრებოდით. სასტუმროს შესასვლელთან ტურისტული ავტობუსი გველოდა. ჩემი იციკი ჯერაც ბავშვი იყო და შესასვლელთან დაკუნტრუშებდა. არონმა მკაცრად უთხრა ივრითზე — ავტობუსი ჩვენ ხომ არ დაგველოდება, თანაც აეროპორტში გვაგვიანდებაო. ამ დროს ავტობუსის მძღოლმა, მუგუზალივით შავმა ზანგმა ფანჯრიდან თავი გამოყო და სუფთა ივრითზე მიმართა არონს — მა კარა ლეხა, არონ? თენ ლე იელედ ლესახეკ. ანი ეხაქე. მა იეშ ლეხა? (რა დაგემართა არონ? გაუშვი ბავშვმა ითამაშოს. მე დაგელოდებით) — განცვიფრებისაგან ენა ჩაგვივარდა. ზანგმა კი სიცილით გვითხრა — მე საზღვაო ქვეითი ვიყავი, როცა ჩვენი სამხედრო გემი ხაიფის (ისრაელის ერთ — ერთი პორტი) პორტში იდგა. თითქმის სამი წელი დავყავი ისრაელში ისე შემიყვარდა თქვენი ქვეყანა, დედაჩემი რომ არა, გიურს (არაებრაელს თუ ებრაული სარწმუნოების მიღება სურს საგანგებო, საკმაოდ რთულიკ ურსი — გიური უნდა გაიაროს) გავივლიდი და იქიდან ფეხს არ მოვიცვლიდიო.

დავბრუნდით ვაშინგტონში. ბატონი ლეო და ანი სულ მალე გვეწვივნენ მანქანის წასაყვანად. ვისადილეთ, ვიმუსაიფეთ, ზანგის ივრითის ეეპიზოდიც მოვუყევით. ბევრი ვიცინეთ. ქალბატონმა ანიმ კი გვიამბო — მაიამიში გოლფის კლუბში როგორც შევედით, იქაური ებრაელები იდიშზე გამოელაპარაკნენ ლეოს. ძალიან გაუკვირდათ, რომ იგი ქართველია — ერთნაირი ცხვირები გვაქვსო...

როცა წყვილი წასასვლელად მოემზადა, შევატყვე, რომ ბატონი ლეო უხერხულად იშმუშნებოდა. ბოლოს ჩუმად მითხრა — ეთერ, ნუ გამაწბილებ, ვიცი, რომ გარაჟის საფასურს არ აიღებ, ამიტომ 60 დოლარს იციკს მივცემო. მე რა თქმა უნდა, ხელები გავასავსავე... როგორც ზემოთ მოგახსენეთ ბავშვი მიჩვეული იყო ბატონ ლეოსაგან ფულის ჩუქებას და როცა ლეო არ მომეშვა, დავთანხმდი იციკისათვის 20 დოლარი ეჩუქებინა — ეს ჩემი პატარა საბრი (იციკი ისრაელშია დაბადებული და აქაურებს საბრებს ეძახიან — საბრეს ხილია გარედან ეკლიანი და შიგნით კი მწიფე და ტკბილი) უცებ მოიქუფრა... და როცა სტუმრები წავიდნენ, ცრემლმორეულმა გაბრაზებით მითხრა — შენს გამო 40 დოლარი დავკარგეო.

კომენტარები ზედმეტია...

მშველელი მედიკამენტი

კოვიდპაციენტების 90 პროცენტი, რომლებმაც ისარაელის ახალი მედიკამენტით იმკურნალეს, 5 დღეში განიკურნენ - ვკითხულობთ jpost.com-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ცდის შედეგად, პრეპარატმა, 30დან-29 პაციენტზე, დადებითად იმოქმედა.

გამოკვლევის მთავარი მიზანი იყო, მედიკამენტის უსაფრთხოების დადგენა.

ასევე გამოიგონეს პრეპარატი, Tel Aviv Sourasky Medical-ი, რომელსაც 93%იანი შედეგი აქვს. მას მკურნალობისთვის რამდენიმე ბერძნული საავადმყოფო იყენებს.

ისრაელის მედიკამენტი შექმნილია ისეთ მოლეკულაზე (CD 24), რომელსაც პროფესორი არბერი და ექიმი შირანი 25 წლის მანძილზე იკვლევდნენ.

ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ამ მედიკამენტის მიღების შემდგომ. 20-დან 19 კოვიდინფიცირებულ პაციენტს არ სჭირდება არანაირი დამატებითი მკურნალობა.

ფაიზერი წლის ბოლოსთვის გამოუშვებს წამალს კოვიდის საწინააღმდეგოდ

ფაიზერის მთავარი აღმასრულებელი დირექტორის ალბერტ ბურლას განცხადებაა, რომ წლის ბოლოსთვის კომპანია გამოუშვებს წამალს, რომელიც კოვიდის პირველივე ნიშნების გამოვლენისთანავე მიღებისას მაქსიმალურად შეამცირებს ვირუსის გამრავლების უნარს და დაავადება ძალიან მსუბუქად წარიმართება.

ეს წამალი ე.წ. პროტეაზების ინჰიბიტორებს მიეკუთვნება, იმავე კლასისაა, რომლებსაც „c“ ჰეპატიტის და შიდსის სამკურნალოდ იყენებენ და თრგუნავს იმ ფერმენტს, რომელიც ვირუსს სჭირდება ადამიანის უჯრედებში გასამრავლებლად.

ეს უკვე მართლა ფინიშის ხაზზე გასვლას ნიშნავს...

ჯოინტის ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი

საბავშვო პროგრამა „შალომ სეზამი“ 2021-2022

აცხადებს 3-5 წლის ასაკიდან ბავშვების მიღებას

ბავშვებთან მუშაობა ეფუძნება სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლების უახლეს ისრაელურ მეთოდიკას.

პროგრამაშია:

- ინგლისური ენა
- მუსიკა
- სიმღერა
- ხატვა
- ივრითი
- ებრაული აღზრდა
- კუნ-ფუ ბავშვებისთვის
- ექსკურსიები
- საბავშვო სპექტაკლებსა და გასართობ ღონისძიებებზე დასწრება

შენობაში დაცულია ყველა სანიტარულ - ჰიგიენური სტანდარტები მთავრობის რეგულაციების შესაბამისად.

„შალომ სეზამი“ მუშაობს ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10:00-დან 17:30 საათამდე

გათვალისწინებულია ქაშერი კვება

ცნობებისათვის მიმართეთ:

ავლაბარი, ვახტანგ VI-ს ქუჩა 30, ებრაული სათემო სახლი მე-3 სართული

საკონტაქტო ტელეფონები:

2157035, 2770653, 597994005, 591939988

წყლის მარაგების შემცირება და კლიმატის ცვლილება: ვირტუალური დიალოგი გამომცემლობასთან „საგარეო პოლიტიკა“ (Foreign Policy)
2021 წლის 21 სექტემბერი

რა შეგვიძლია ერთობლივად გავაკეთოთ იმისათვის, რომ მომავალში მსოფლიოს წყლის პრობელმა არ ჰქონდეს

მსოფლიო ექსპერტები ათწლეულების განმავლობაში განგაშს სცემდნენ, რომ ერთ -ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი - სუფთა წყალი, სწრაფად იწურება არასაკმარისი მარაგის, ინფრასტრუქტურის ნაკლებობის, ან სოფლის მეურნეობაში და სხვა ინდუსტრიებში წყლის ინტენსიური გახარჯვის გამო. ბევრი ქვეყანა უკვე განიცდის წყლის ნაკლებობას.

კლიმატის ცვლილება და მოსახლეობის ზრდა ამძაფრებს წყლის შემცირებას, განსაკუთრებით გვალვისკენ მიდრეკილ რაიონებში-- ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში. ასეთი ტერიტორიების რაოდენობა გაიზრდება, რაც გამოიწვევს შიმშილის, ეკონომიკური შოკისა და წყალთან დაკავშირებული კონფლიქტების რისკს.

ჩვენი ყველაზე ძვირფასი რესურსის მტკივნეული მომავალი არის გლობალური გამოწვევა და ის მოითხოვს პოლიტიკოსების, მეცნიერებისა და ინოვატორების მეტ ყურადღებას წყლის უსაფრთხო მომავლის ერთობლივი გადაწყვეტილებების შესაქმნელად.

ქვეყნებმა, რომლებსაც გააჩნიათ წყლის პრობლემა, როგორიცაა არაბთა გაერთიანებული საამიროები, პრიორიტეტი მიანიჭეს წყლის უსაფრთხოების ეროვნული ყოვლისმომცველი სტრატეგიით ამ საკითხს, რომელიც მოიცავს წყლის მოხმარების შემცირების, წყლის პროდუქტიულობის გაზრდისა და დამუშავებული წყლის ხელახალი გამოყენების გაუმჯობესების მოწინავე ტექნოლოგიებს.

სხვა რეგიონებში, ადგილობრივი წყალმომარაგების კრიზისი მოითხოვს უფრო მეტ დარგობრივ ხელმძღვანელობას და ინვესტიციებს. რა უნდა გააკეთონ მთავრობებმა, დეველოპერულმა ორგანიზაციებმა, არაკომერციულმა ორგანიზაციებმა და ინდუსტრიამ, რომ წყლის გამოწვევები დიპლომატიური ჩართულობისა და გლობალური თანამშრომლობის შესაძლებლობად აქციონ?

21 სექტემბერს გამომცემლობამ „საგარეო პოლიტიკა“ (Foreign Policy FP), ქ. ვაშინგტონში მდებარე არაბთა გაერთიანებული საამიროების საელჩოსთან პარტნიორობით, გამართა დისკუსია პოლიტიკოსებთან, ექსპერტებთან და ინოვატორებთან, რომლებიც მოწინავე პოზიციებს იკავებენ წყლის მომავლის უზრუნველყოფის სფეროებში.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო მიხეილ მირილაშვილმა, კომპანია „ვატერგენ“ (WATERGEN), პრეზიდენტმა და თანადირექტორმა

30 წელზე მეტია, ბატონი მირილაშვილი არის ხელმძღვანელი და დირექტორი მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ბიზნეს წამოწყებების მთელი მსოფლიოს მაშტაბით ისეთ სფეროებში, როგორიცაა: უძრავი ქონება, ჯანდაცვა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, მენეჯმენტი, მედია, აგროტექნიკა, ინოვაციური სოციალური მეწარმეობა, სპორტი, მაღალი ტექნოლოგიები, ინფრასტრუქტურა, ეკოლოგია. ბატონი მირილაშვილი თავის დროსა და რესურსს ქველმოქმედების ფართო სპექტრს უთმობს და მსოფლიოს რამდენიმე ცნობილ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს, მათ შორის ევრო-აზიური ებრაული კონგრესის პრეზიდენტის და მსოფლიო ებრაელთა ვიცე-პრეზიდენტის პოზიციებს. კერენ ჰაისეოდ-გაერთიანებული ისრაელი ინიციატივის სახლით 2017 წლის ოქტომბერში მან ისაიას ჯილდო მიანიჭა აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს მისი ეკონომიკური, დიპლომატიური და უსაფრთხოების თანამშრომლობისათვის ისრაელთან, ხოლო თვითონ ბატონმა მიხეილმა იგივე ჯილდო მიიღო 2015 წელს. გასულ წლებში ისაიას ჯილდოს სხვა მიმღებნიც იყვნენ აშშ -ს ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი, ისრაელის ყოფილი პრემიერ მინისტრი იცხაკ რაბინი და მსახიობი და პროდიუსერი შერონ სტოუნი.

დიალოგში ასევე მონაწილეობდნენ:

მირიამ ბინტ მოჰამედ საიდ ხარებ ალმჰეირი, არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელმწიფო მინისტრი კვებისა და წყლის უდაფრთხოების დარგში;

ქრისტინ დოუსონი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოკეანიისა და საერთაშორისო გარემოს დაცვისა და სამეცნიერო საკითხების ბიუროს წყლის უსაფრთხოების ოფისის დირექტორი;

ვახიდ ფოტუჰი, ევროპის, ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის გლობალური რესურსების ვიცე პრეზიდენტი;

მეგი ლეიკი, ვეტერანი ჟურნალისტი და „მეგი ლეიკ მედია“-ს დამფუძნებელი;

დარიო სოტო-ებრილი, კომპანია „global uoter partnerShip“-ის აღამსრულებელი მდივანი და დირექტორი.

სამშობლოს დამცველებს მძიმე ტვირთიც ემსუბუქებათ

პაემანი

სახელის უკვდავსაყოფად

ლია კრიხელი

საქართველოს ებრაელთა და საერთოდ ებრაელთა ისტორიის ღამაზი ფურცლები, სწორედ ისეთი ადამიანების წყალობით დაიწერა, როგორც არონ კრიხელი ბრძანდებოდა. ასეთი, ჭეშმარიტად თხემით ტერფამდე სიონისტებისა და პატრიოტების სახელები, ოქროს ასოებით არის შეტანილი ებრაელთა ისტორიაში.

არონ კრიხელი დაიბადა მეტად განსწავლული ადამიანის, რაბი ხვოლესის თანაშემწის, ხახამ მეირ კრიხელის ოჯახში, 1906 წლის 8 ოქტომბერს. ხახამ მეირის თალმიდებს შორის, საკმარისია დავასახელოთ გამოჩენილი რაბები: მოშე ჰაკატან და მოშე ჰაგადოლ დავარაშვილები, რომელთაც ეს სახელები თავად მეირ კრიხელს შეურქმევია, რათა განესხვავებიანთ ორი ერთნაირი სახელისა და გვარის მქონე თალმიდი „ხედერის“ ერთერთ ჯგუფში. არონის დედა, ქალბატონი სარა, ცხინვალელ გოგონებს ებრაულ ანბანს ასწავლიდა და გათხოვებისას მზითევსაც კი უმზადებდა. მას გულისხმიერება ეხმარებოდა, თავის ექვს შვილთან ერთად, სხვებიც ბევრი გაეზარდა.

პატარა არონი ხახამ მეირის „ხედერში“ ანუ სალოცავთან არსებულ რელიგიურ სკოლაში სწავლობდა ებრაულ ენას და იქვე ეზიარა ებრაელების მდიდარ სულიერ მემკვიდრეობას. არონს მამამ გაუღვიძა მოყვასის პატივისცემისა და თავისი ხალხის უსიგრძეგანო სიყვარულის გრძნობა, რაც სიცოცხლის ბოლომდე ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. რაღა თქმა უნდა, რომ საშუალო სკოლაც ბრწყინვალედ დაამთავრა და შემდგომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მან სწავლის პერიოდშივე გაიცნო და ირგვლივ შემოიკრიბა იმდროინდელი ინტელიგენციის თავლსაჩინო წარმომადგენლები: ილია პაპისმედოვი, მორდეხ (მოტკე) მამისთვალოვი, იოსებ ქურჩიშვილი, მოსე დანიელოვი და სხვები.

1933 წელს არონმა ასპირანტურა დაამთავრა და მეცნიერულ მუშაობას შეუდგა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ახალგაზრდებში ნაციონალური თვითგამორკვევა და კუტურული აღმავლობა დაიწყო, რაც თავისთავად ბადებდა ახალ იდეებს. ერთერთი ასეთი იდეა იყო ებრაელთა კულტურული ცენტრის შექმნა, რომელიც თავის გარშემო შემოიკრებდა ებრაელობას. არონ კრიხელის უშუალო ინიციატივითა და შუამდგომლობით დაარსდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ–ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომლის დირექტორადაც თვითონ არონ კრიხელი დაინიშნა. იგი მისი ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი იყო დაპატიმრებამდე ანუ 1949 წლამდე. ეს მუზეუმი იყო იუდაიზმის, ისტორიისა და ფილოსოფიური მეცნიერების ტაძარი. იქ შემონახული წიგნები, სასაფლაოს ქვების გაშიფრული ძველი წარწერები, საყოფაცხოვრებო ნივთები, ქართველ ებრაელთა ადათ–წესებისა და ტრადიციების ამსახველი ექსპონატები, თვითნასწავლი მხატვრის, შალომ კობოშვილის ნახატები და სხვა დამთვალიერებთა განცვიფრებასა და სიხარულს იწვევდა, თვით ებრაელებში კი, სიამაყეს.

არონ კრიხელმა ებრაელ მოღვაწეებთან ერთად, მუზეუმთან თანამშრომლობისთვის მოიწვია ცნობილი ქართველი მეცნიერები: ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩიტაია, შ. ამირანაშვილი, ლ. მელიქსედბეგი. მუზეუმის კედლებში შექმნეს ასპირანტურა, რომელიც შემდგომში მუზეუმის ოთხმა თანამშრომელმა წარმატებით დაამთავრა. მუზეუმის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად გამოიცა „საქართველოს ებრაელთა მუზეუმის შრომების“ სამი ტომი, რომლის მომზადებაში არონ კრიხელს, როგორც დირექტორს დიდი ღვაწლი მიუძღვის. ამ შრომებში წარმოდგენილია კვლევითი მასალები და მრავალი დოკუმენტი ებრაელთა სოციალურ–ეკონომიურ, კულტურულ ყოფასა და უფლებრივი მდგომარეობის თაობზე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

პროფ. შ. ჩხეტიას წერილში გამოთქმულია აზრი, რომ საქართველოს ებრაელთა ისტორია, ქართველი ხალხის მთლიანი ისტორიის შემადგენელი ნაწილია, რადგანაც მუზეუმის საბუთები ქართველ ებრაელთა შესახებ, წარმოადგენენ მნიშვნელოვან მასალას მთლიანი ისტორიის შესასწავლად.

1937 წელს მუზეუმში გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოში ებრაელებისადმი სიძულვილის გასაღვივებლად მიმართული აქტების ამსახველი მასალები: „სურამის საქმე“, „საჩხერის პროცესი“ და სხვა, რაც ძალიან თამამ ქმედებად უნდა ჩითვალოს უკვე დაწყებული სტალინის რეპრესიების პირობებში. ცალკე წიგნებად გამოიცა: 1. „ყმა–გლეხების სწრაფვა ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისათვის“, 2. „მცხეთაში ნაპოვნი ისარი ებრაული წარწერით“, 3. „ბრეთის ბიბლია“, 4. „იეჰუდა ჩორნის მოგზაურობა იმიერ– ამიერ კავკასიაში 1860–1870 წლებში“, რომელიც ებრაულიდან არონ კრიხელმა თარგმნა.

არონის თაოსნობით მოეწყო რამდენიმე სამეცნიერო და არქეოლოგიური ექსპედიცია საქართველოს ძნელადმისადგომ რაიონებში. მან აღმოაჩინა და გაშიფრა ძველებრაული წარწერები საფლავის ქვებზე, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე–2 მე–5 საუკუნეებითაა დათარიღებული.

არონ კრიხელი 10 სამეცნიერო ნაშრომისა და მონგრაფიების ავტორია, რომელთაგან რამდენიმე სხვა ენებზეა თარგმნილი. მის ერთერთ ნაშრომს პოლონურ ენაზე გაეცნო და მაღალი შეფასება მისცა ისრაელი ყოფილმა, აწგანსვენებულმა პრეზიდენტმა, იცხაკ ბენცვიმ და შემდგომში თავისი შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა წიგნში „კავკასია“. თავის მხრივ არონმა ქართულ და რუსულ ენებზე თარგმნა ბენცვის ნაშრომები. მუზეუმის სხვა თანამშრომლებთან, დაძაბული შრომითა და აქტიურობით, არონ კრიხელი მისხალ–მისხალ აგროვებდა მასალებს მუზეუმში შექმნილი არქივისათვის. მუზეუმის ექსპონატები მდიდრდებოდა რუსეთის სხვადასხვა მუზეუმიდან (არა მხოლოდ ებრაული), მათ შორის ერმიტაჟიდანაც კი, გამოგზავნილი ნივთებითა თუ საბუთებით.ეს კი, მათთან დამყარებული კავშირების შედეგი იყო.

ამ დროისათვის, დიდ მოვლენად ითვლებოდა მოსკოვის ებრაული სახელმწიფო თეატრის გასტროლები თბილისში. არონ კრიხელი დაუახლოვდა სოლომონ მიხოელსს, ზუსკინსა და აღნიშნული თეატრის სხვა მოღვაწეებს, რომლებთანაც შემდგომში მჭიდრო კავშირი და მიწერ–მოწერა ჰქონდა. ს. მიხოელსმა არონს გამოუგზავნა წიგნი სათაურით „შავი წიგნი“, სადაც, პირველად ომის შემდგომ პერიოდში გამოქვეყნებული იყო ფოტომასალა ნაცისტების მიერ ებრაელების მასობრივი ჟლეტვის ფაქტები საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

1948 წელს მიხოელსის გადაცვალებით შეწუხებულმა არონმა, მუზეუმის ფანჯარაში გამოკიდა მისი სურათი, რაც მის უშიშარ ბუნებაზე მეტყველებდა. თუ არა ის, სხვა ვინ გაბედავდა გოლდა მეირისთვის გაეგზავნა მისალოცი დეპეშა ისრაელის სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით.

არონ კრიხელის უახლოესი მეგობარი, ექიმი ისაკ მგრელიშვილი მოგონებებში წერს: „ბედმა მიწილადა გამეცნო და დავმეგობრებოდი მუზეუმის დირექტორს. მე მაკვირვებდა მისი სიბრძნე, სიღრმისეული ცოდნა, მსჯელობის უნარი და სიონიზმში გადაზრდილი პატრიოტიზმი. იგი ამჯობინებდა ებრაელთა წარსულზე ლაპარაკს და არა აწმყოსა და მომავალზე, ეს არ იყო ეგოისტური შიში ან შენიღბვა, არამედ ფრთხილობდა, თავისი სიტყვით ზიანი არ მიეყენებინა მუზეუმის არსებობისთვის, რომელიც სულის სიღრმემდე უყვარდა. იგი მუზეუმის არა მარტო დირექტორი გახლდათ, არამედ მისი მსახური და დარაჯიც. მუზეუმის კედლებში ვნახე პირველად თეოდორ ჰერცელის სურათი, რომელიც უბრაული სახელმწიფოს შექმნას ვარაუდობდა 50 წლით ადრე. აქ ვეზიარე ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, იუდაიზმის საფუძვლებს, ხელოვნებას, მხატვრობას, მწერლობას და მუსიკას. ასე ავენთე სიონიზმის ცეცხლით“.

სწორედ ეს იყო მუზეუმის დაარსების მიზანი. იქ კეთდებოდა ყველაფერი, რომ თითოეულ ებრაელს თავი ეგრძნო სათემო სახლში. მუზეუმში იმართებოდა თემატიური გამოფენები, მიძღვნილი ებრაელი მოღვაწეებიის ცხოვრებასა და შემოქმედებისადმი. არონ კროხელი მოღვაწეობდა იმ პერიოდში, როცა ებრაულ თემატიკაზე წერა კი არა, ფიქრიც კი, შიძლება სავალალო ყოფილიყო. მიუხედავად საშინელი ქარტეხილებისა, თავის თანამოაზრეებთან ერთად გზა გაუკვალა ჩვენი ერის წარსულის გაშუქებას. ერზე ზრუნვას შეალია თავისი ახალგაზრდობა. მისი მიზენი იყო „ქართველი ებრაელი ფენომენის“ გამომზეურება, საუკუნეების სიღრმეში ჩაძირული სიმართლის აღიარება. მან ერთერთმა პირველთაგანმა დაამტკიცა, რომ აკადემიკოს მ. ბროსეს მიერ შეცდომით იქნა გაგებული მცხეთის მიდამოებში აღმოჩენილი სასაფლაოს ქვებზე ძველებრაული წარწერები და ნათელი მოჰფინა მათ. (აღნიშნული თემა, შემდგომში გააგრძელა ნისან ბაბალიკაშვილმა).

ა. კრიხელმა ებრაულიდან თარგმნა და სისტემაში მოიყვანა, ცნობილი ისტორიკოს მოგზაურის, იეჰუდა ჩორნის ნაშრომი საქართველოს ებრაელობის თაობაზე. ეს ნაწარმოები თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ჩვენი წინაპარნი საქართველოში დასახლდნენ ჯერ კიდევ იერუსალიმის პირველი ტაძრის აოხრების შემდეგ.

1939 წელს არონ კრიხელის თაოსნობით მუზეუმში მოეწყო თვითნასწავლი მხატვრის, შალომ კობოშვილის ნამუშევართა გამოფენა, რომელიც ასახავდა საქართველოს ებრაელთა ყოფას, ტრადიციებსა და ადათ-წესებს.

ნათესავებსა და აცლობლებს არონი გვახსოვს მუდამ წიგნებითა და ხელნაწერებით სვსე მაგიდასთან მჯდარი. კარადის თაროებზე კი,ელაგა წიგნები ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და არაბულ ენებზე. ებრაული კულტურის საფუძვლიანი შესწავლის მიზნით, იგი სისტემატიურად სწავლობდა არაბულ ენას.

არონი გახლდათ გულისხმიერი და სათნო, იმავდროულად საკმაოდ გულჩათხრობილი ბრძანდებოდა. თავის ჩანაფიქრს, მხოლოდ კალამს ანდობდა, რომელიც თავის მხრივ უერთგულეს სამსახურს უწევდა და ქაღალდზე გადაჰქონდა ავტორის ნააზრევი ლექსებად, პოემებად და ნარკვევებად. ისტორიული ხასიათის ნაწარმოებიც ბევრი ჰქონდა. ხშირად რუსულ ენაზე წერდა და პოემა „ახზარი“, სწორედ რუსულად აქვს დაწერილი, რომელიც სპეციალისტების მიერ, შედევრად იქნა აღიარებული და იდიშზე ითარგმნა.

არონ კრიხელმა შეადგინა ქართულ–ებრაულ–რუსული და ებრაულ–რუსულ–ქართული ლექსიკონები, რომლებიც მოიცავდნენ 1500 სიტყვას და დართული ჰქონდა გრამატიკული მასალის განმარტება. აგრეთვე შეადგინა ქართულ ებრაული სასაუბრო, რომელიც თელ–ავივის დიასპორის მუზეუმში იყო წარმოდგენილი.

1949 წელს არონ კრიხელამდე მიაღწია სტალინის მთავრობის მიერ ებრაელი თვალსაჩინო მოღვაწეების მიზანდასახულმა დევნამ. არონი დააპატიმრეს 58/10 მუხლის ბრალდებით „კონტრრევრლუციური მოღვაწეობა და სიონისტური პროპაგანდა“, ხოლო მუზეუმი ჯერ დარბეული, ხოლო შემდეგ დალუქულ იქნა. ზემოაღნიშნული ბრალდება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. თბილისის უშიშროების კომიტეტში სულ სამი კვირა დაჰყო, შემდეგ მოსკოვის ლიფორტოვის ციხეში ამოაყოფინეს თავი, სადაც ებრაული ანტიფაშისტური კომიტეტის მაშინდელი წევრები იმყოფებოდნენ: ლევ კვიტკო, იციკ ფეფერი, მსახიობი ზუსკინი და სხვები. 1972 წლის ოქტომბერში ისრაელში გამომავალ რუსულენოვან გაზეთ „ტრიბუნა“–ში გამოქვეყნებული იყო არონ

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

კრიხელის მოგონებები ლიფორტოვის ციხეში დაკითხვასა და იციკ ფეფერთან დაპირისპირებაზე. ამ უკანასკნელს საერთაშორისო ჯაშუშობაში სდებდნენ ბრალს. არონი იგონებს, როგორი არაადამიანური მეთოდები, გააჩნდათ ციხის მესვეურთ, რათა „გამოეტეხათ“ ებრაული ანტიფაშისტური კომიტეტის წევრები თავიანთ იატაკქვეშა, ქვეყნისა და მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ ძირგამომთხრელ მუშაობაში. არონი შეუყვანია პოლკოვნიკ რომანოვს ოთახში. იგი უძილობისგან მოთენთილი, გამომძიებლის უხეშმა ხმამ გამოაფხიზლა

: „რას დგახარ, არ იცი შენი ადგილი?“ როდესაც კუთხისკენ წავედი და სკამზე ჩამოვჯექი, იგონებდა არონი, მან უფრო ხმამაღლა ღაიწყო ყვირილი „კიდეზე დაჯექი, მხოლოდ კიდეზე, კაცუნავ, სკამზე დაჯდომას დამსახურება უნდა“. შემოვიდა ებრაული განყოფილების უფროსი, რომელზეც ამბობდნენ, რომ ყველაზე ღრძო ანტისემიტი იყო. სწორედ მან ჰკითხა ჩემზე „როგორ იქცევა?“ „საზიზღრად“, იყო პასუხი. „მაშ, გამოუწერეთ აბები“, გასვლისას სილა გამაწნა და ფეხიც მკრა. დასაპირისპირებლად იციკ ფეფერი შემოიყვანეს. „იცნობ ამ ადამიანს“? ჰკითხეს იციკს. „როგორ არა, მუზეუმის დირექტორია“. „შენ იცნობ?“ მომმართეს მე. „დიახ, ეს მწერალი ფეფერია“. ჩვენ ვისხედით ერთმანეთის პირისპირ და მე ვიტანჯებოდი იცკის ცქერით. ჩემს წინ იჯდა უდროოდ დაბერებულ– დანაოჭებული (მაშინ იციკი 52 წლისა იყო), ფერმკრთალი და ღონემიხდილი კაცი. ჩვენ უხმოდ შევყურებდით ერთმანეთს, მაგრამ ჩვენი მზერა მრავლისმთქმელი იყო. ზედამხდველი ზურგით იდგა, მაგრამ მაინც გვხედავდა, თუ როგორ ვიქცეოდით. შედეგ გამომძიებელი მიუბრუნდა ფეფერს და ჰკითხა: „ადასტურებათ, რომ ა. კრიხელი ებრაელი ნაციონალისტია“? „მე ასეთი ჩვენება არასდროს არ მიმცია“ უპასუხა ფეფერმა. „ხმა ჩაიკმინდე, საერთაშორისო ჯაშუშო, ნუ ცდილობ დაჩქმალო შენი შავი საქმეები“. „პატივცემულო გამომძიებელო, ჩვენი საუბარი ეხებოდა მხოლოდ ხალხთა თანასწორუფლებიანობას, თვითგამორკვევას, ებრაელების ჩაგვრას ცარიზმის მიერ და ასიმილაციას“. „ესე იგი, თქვენ ეწინააღმდეგებით ასმილაციას და ჯანყდებით არა“? შემეკითხა მე. „თქვენ ვერ გამიგეთ, თქვენი აზრით, კომუნისტური პარტიის მიზანი ებრაელების ასიმილაციაა საბჭოთა კავშირში? კი, მაგრამ როგორ უთავსებთ ამას ლენინის მოძღვრებას ებრაელების საკითხზე?“ „ჩუმად, შენ არავინ გეკითხება პარტიასა და ლენინზე. ჯობს, გვიამბე სად და როდის გადაგიბირეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ქმედებაში?“ „არსად და არავინ“, – ვუპასუხე. „რომელ არალეგალურ კრებებს აწყობდით ფეფერის თანდასწრებით?“ – არ მეშვებოდა გამომძიებელი. „არავითრს, ფეფერს მხოლოდ ისტორიული მასალები აინტერესებდა რომანის დასაწერად“. „გამოძიებას არ სჯერა თქვენი“. „მაშ, ფაქტები წარმოგვიდგინეთ “ – ვუპასუხე მე. წუთიერი დუმილი ჩამოვარდა, ფეფრმა თვალებზე ხელი მიიდო და წარმოსთქვა ლოცვა „შმა ისრაელ!“ (ისმინე, ისრაელო!). მეც მექნიკურად გავიმეორე ეს ლოცვა და ვიგრძენი, რომ რაღაცა ძალა მომემატა და თითქოს გავმაგრდი კიდეც. შემდგომში მრავლად იყო შეკითხვები ჩემს ურთიერთობაზე სოლომონ მიხოელსთან და ებრაული ანტიფაშისტური კომიტეტის სხვა წევრებთან. როდესაც პატიმრების გონივრული პასუხები არ მოსწონდათ, ბრაზისაგან დორბლმორეულები, ჯალათურ ილეთებსაც იყენებდნენ სასჯელად. „თუ ყველაფერს არ იტყვით, სასიკვდილოდ განწირულები ხართ“ – გაგვაფრთხილეს. შემდეგ ისევ უფროსი შემოვიდა ახმახი ზედამხედველის თანხლებით. მეც და იციკიც მტკიცედ ვიდექით ჩვენს ჩვენებებზე, რომ ჩვენ არც ერთ მტრულად განწყობილ ორგანიზაციას არ ვეკუთვნოდით, მხოლოდ მეგობრობა და სამეცნიერო შრომები გვაკავშირებდა ერთმანეთთნან. მაშინ კი, უფროსი მიუახლოვდა ფეფრს, ყურით მოითრია და წიხლით წააქცია. მე სქელჩემებიანი ფეხით კბილების ჩამტვრევით გთმიმასპინძლდენენ და ისევ იატაკზე ვეგდე, როცა იციკი გაათრიეს და მისი გულშემზარავი, ტკივილებისაგან შუწუხებული ყვირილი მესმოდა.

მოგვიანებით, 1993 წელს, ალექსანდერე ბორჩაგოვსკი თავის წიგნში „ბრალი ედება სისხლს“ წერს: „იციკ ფეფერმა ვერ გაუძლო იმ არაადმიანურ პირობებს უშიშარი და უდრეკი ა. კრიხელივით. ფეფერი კი არ გატეხა დაკითხვებმა, იგი ისეთივე მსხვერპლი იყო, როგორც დანარჩენი რეპრესირებულნი. მისი სახელიც ამოტვიფრულია მემორიალურ დაფაზე მოსკოვში, დონის სასაფლაოზე ებრაულ ანტიფაშისტური კომიტეტის 13 დახვრეტილთან ერთად“.

ათი წლის პატიმრობის პერიოდში რა არ არგუნა ბედმა ა. კრიხელს, გადასახლება, ყარაგანდის ტრამალების მკაცრი ზამთარი, გულაგი, ძალადობა, დამცირება, ბანაკში ცხოვრები სასტიკი პირობები და თუ არა ერთი ებრაელი ექიმის მზრუნველობა, შეიძლება ვერც კი გადარჩენილიყო ცოცხალი. „ბედნიერია ის, ვისაც გვერდი აუარა ამ საშინელებამ“ – ამბობდა არონი.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1954 წელს, არონი გაანთავისუფლეს, ხოლო კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობის დადგენილებით იგი, სხვა ათასობით უდანაშაულოსთან ერთად რეაბილიტირებული იქნა.

ჯანგატეხილი, მაგრამ სულით ძლიერი დაბრუნდა არონი საქართველოში. დიდი ხნის მკურნალობის შემდეგ, შესძლო მან თაისი საყვარელი საქმის გაგრძელება. იკვლევდა, წერდა, თხზავდა ეროვნული ტკივილით გაჟღენთილ მხატვრულ ნაწარმოებებს. „ბაშანა ჰაბაა ბირუშალაიმ“ (მომავალ წელს იერუშალაიმში), ამ სიტყვებს წარმოთქვამდა ყვლა ებრაელი, ხოლო ა. კრიხელის ბაგეს ეს სტყვები არ მოსწყტეტია მექანიკურად, ისე, უბრალოდ, თუ არა დიდი იმედით. „თუ მე არ დავიწვი, თუ შენ არ დაიწვი, ვინ გაანათოს“ სჯეროდა არონს და მზად იყო საკუთრი სიცოცხლე მსხვერპლად გაეღო ამ დიდი საქმის ბლაგვი მექანიზმის ასამოძრავებლად, რასაც „ალია ლეერეც ისრაელ“ (ისრაელში რეპატრიაცია) ერქვა.

მეცნიერი, ისტორიკოსი, მკვლევარი, პუბლიცისტი, მრავალი ენის მცოდნე, პოეტი და მგზნებარე სიონისტი არონ კრიხელი 1971 წელს ისრაელში ამოვიდა მეუღლე რივასა და ქალიშვილი სარას ოჯახთან ერად. ორი შვილიშვილი, მეირი და მარინო, არონის სიამაყე იყო და თავს ბედნიერად თვლიდა, რომ ისინი ამ ქვეყანაში ჩამოიყვანა. ახალგაზრდული შემართებით დაიწყო მუშაობა არც თუ ისე ჯანმრთელმა შეაგროვა ქართველ ებრაელთა პირველი ალიის ფოტომასალა. მუშაობდა იერუსალიმის ებრაული უნივესტეტის სამეცნიერო კვლევით განყოფილებაში. პარალელურად ლექციებსაც კითხულობდა. 1973 წელს მონაწილეობა მიიღო იუდაიკის მე–6 მსოფლიო კონგრესში, სადაც გამოვიდა მოხსენებით „ებრაელები ძველ საქართველოსა და სომხეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე–6 მე–7 საუკუნეებში“. აგრეთვე საარქივო მასალებზე დაყრდნობით თემა „ქართველი ებრაელები ბატნყმობის ხანაში“. მუშაობდა ბიბლიოგრაფიაზე და ჰქონდა დიდძალი მასალა ალბომების გამოსაცემად. ეს იყო იმ 18 ქართველ ებრაელთა ოჯახის ფოტოდოკუმენტები, რომლებაც პირველებმა გაჭრეს გზა ისრაელისაკენ საბჭოთა რკინის ფარდის პირობებში. აგრეთვე მოიპოვა იერუშალაიმის ქართველ ებრაელთა სალოცვისა და სხვა ძეგლების ფოტოები. ისრელის რელიგიის სამინისტრომ თხოვნით მიმართა არონ კრიხელს , სათავეში ჩასდგომოდა გამოფენას „ებრაელები უძველეს საქართველოსა და სომხეთში“. გარდა ამისა, მან მიიღო ნებართვა ქალაქ ორიეუდაში ობელისკის დადგმაზე იმ შვიდი რაბინის უკვდავსაყოფად, რომლებიც უდანაშაულოდ შეეწირნენ გამძვინვარებულ ანტისემიტიზმს. სამწუხეროდ, მუხანათმა სიკვდილმა არ დააცალა არონ კრიხელს ამ და სხვა სასიკეთო საქმის დაგვირგვინება. 1974 წელს ა. კრიხელი გარდაიცვალა.

არონ კრიხელის ხსოვნის საღამო გაიმართა იერუშალაიმის ბენცვის ინსტიტუტის დარბაზში, ხოლო დაბადებიდან 80 წლის აღსანიშნავი საღამო მოეწყო თელ–ავივის დიასპორის მუზეუმის საბჭოთა კავშირიდან გამოსულთა გაერთიანების მაშინდელი თავმჯდომარის, რობერტ გოლანის თაოსნობით. ამ საღამოს ესწრებოდნენ და სიტყვით გამოვიდნენ ისრაელის აბსორბციის მინისტრი იაკობ ცური, სოხნუთის განყოფილების უფროსი უზი ნარკისი, დოქტორი იცხაკ დავიდი, რომელთაც აღნიშნეს არონ კრიხელის ფასდაუდებელი ღვაწლი საქართველოს ებრაელთა ისტორიაში.

მეც მინდოდა ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა ა. კრიხელის სახელის უკვდავსაყოფად და თავის დროზე, როდესაც თბილისის ულფანის დირექტორი გახლდით, დავაარსე არონ კრიხელის სახელობის სიგელი წლის საუკეთესო მოსწავლისათვის. თუმცა კი, ადამიანური სიყვარულითა და ყველაზე მზრუნვალობით განვლილმა გზამ, მას სიციცხლეშივე დაუდგა ძეგლი. მიუხედეავად იმისა, რომ ცხოვრება მეტად რთული ჰქონდა, არონი თავის ეკალბარდით მობნეულ გზეზე, ალაგალაგ თანამოაზრეების, მეგობრებისა და მადდლიერი ნათესავების დაფასებას ვარდებად კრეფდა.

P. S. აწგანსვენებული დედაჩემი, თამარი, ხშირად იგონებდა მთელი საგვარეულოს საამაყო ბიძას, არონ კრიხელს. თხრობა ასე იწყებოდა – „როცა არონ ძიამ მომკიდა ხელი და წამიყვანა სამედიცინო სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად, მთელი გაზა მიხსნიდა, რომ დისშვილ–ძმისშვილებში მე ვარ უფროსი და მე უნდა მივცე მაგალითი ჩემს მომდევნოებს. განათლებული ქალი ჩვენი თემის ცხოვრებაში დიდი საყრდენია“.

ჩვენს მეხსიერებასაც ასეთი შემორჩა არონ ძია, როგორც დამრიგებელი და მხარდამჭერი, ნამდვილი ბელადი, რომლიც ძლიან გვიყვარდა, თან გარკვეული მოწიწებით ვეპყრობოდით.

და თუ არონის სახე ყველას თვალწინ გვიდგას, მის მამაზე, ხახამ მეირზე, ჩვენ მონათხრობით ვიცით ყოველივე. ვიცით, რომ დიდი გაჭირვების მიუხედავად, ცხინვალის ჯამაათს ემსახურებოდა სრული ერთგულებით. წერდა ქეთუბებს (საქორწინო კონტრაქტი) და თავადვე უკითხავდა ახალდაქორწინებულებს. აგრეთვე წერდა ებრაულ კალენდრებს, რაც უდიდუს პასუხისმგებლობას მოითხოვდა. ამოწმებდა მეზუზებს, ციციტებსა და ტალითებს (რელიგიური საგნები). ცნობილი იყო როგორც საუკეთესო მლოცველი და დარშანი (მქადაგებელი) და თავსი მჭევრმეტყველებით იპყრობდა მსმენელს.

რედაქციისაგან: ვბეჭდავთ რა მუზეუმის ნაშრომების მე–6 ტომში (2010წ.) გამოქვეყნებული ლ. კრიხელის წინამდებარე სტატიას, გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ჩვენი დიდი წინაპრების ღვაწლს: ქართველ ებრაელობას ჰყავდა დიდებული წინაპრები. რაოდენ დასაფასებელია ამაგი ადამიანისა, რომელმაც შექმნა ქართველ ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, სწორად, ეროვნული, რელიგიური ინტერესების შესაბამისად, წარმართავდა მის მუშაობას, დაგვიტოვა უამრავი მასალა და ყველაფერი ეს იყო სუსხიან წლებში. მარადიული ხსოვნა მათ!

„კლიტენი იერუსალიმისანი“, რომელთაც ერთ დროს ქართველები ფლობდნენ

მზია მარსაგიშვილი

ვუძღვნი ანზორ ერქომაიშვილის ნათელ ხსოვნას, რომლისთვისაც ამბის მოყოლა ვერ მოვასწარი.

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანის, „ძეგლი ერისთავთას“ ცნობით, XIV საუკუნის დასაწყისში პალესტინის მფლობელ მამლუქთა სულტანს საქართველოდან წარგზავნილი პიპასა და იოანე პანტაის ძისთვის დიდი წყალობა გაუცია: „მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი ... ფრიად განიხარა გიორგი მეფემან [გიორგი ბრწყინვალე, მ.მ.], რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა“. საუბარია ქრისტეს საფლავის ეკლესიის შესასვლელ კარზე, რომელსაც მემატიანე, ტაძრის სიდიადის საჩვენებლად, „იერუსალიმის კლიტედ“ მოიხსენიებს.

რამდენადაც „ძეგლი ერისთავთას“ (XIV-XVსს) ცნობები სხვა საბუთებითაც დასტურდება და ის სანდო წყაროდ არის მიჩნეული, ამბავი უდაოდ უტყუარია.

ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ეკლესიის კარის საკითხისადმი ქართულ წყაროებში ხელმეორედ ყურადღების მიპყრობა ბეენა ჩოლოყაშვილის სახელს უკავშირდება, რომელიც 1512 წელს იერუსალიმში ჯვარის მამად კახეთის მეფე გიორგი II-ის (ავ-გიორგის) მიერ იქნა გაგზავნილი. ეს ამბავი, ჯვრის მონასტრის ხმარებაში დაშლილ წიგნთა აღდგენისას, ბეენას თვითონვე არაერთგან მიუწერია, მაგრამ XII-XIII საუკუნეებით დათარიღებულ კრებულზე, წიგნის შეკაზმვასთან ერთად, მეტად საინტერესო ცნობა დაუტოვებია: „ამა წიგნისა მეორედ შემკაზმავსა ჩოლაყას შვილსა ბეენასა შეუნდნეს ღ“ნ. ქკ“სა სბ შეიკაზმა და ამა კუირასა, დღესა სამშაბათსა, მეორესა ჟამსა ღამისსა, შევაბი აღდგომის კარნი ნებითა ღ“თისათა“.

ეს ამბავი ქორონიკონითაც არის დათარიღებული -- „ქკ“სა სბ“ (1514წ.). თვე მითითებული არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, ზრუნვა წლის დასაწყისშივე დაუწყია, რადგან იმავე წლის 23 იანვრის ერთ არაბულ საბუთში, რომელიც მოიძია და გამოსცა გოჩა ჯაფარიძემ, დაწვრილებით არის აღნუსხული ქრისტეს საფლავის ტაძრის “კარის შებმის” მიზეზი: „ ... ქართველებმა შეატყობინეს ჩვენ სამეფო სადგომებს, რომ მათ კუმამაში [აღდგომის ეკლესია, გ. ჯ.] არის კარები, რომელიც მუდამ იღება და იკეტება ქრისტიანული რელიგიური თემისათვის. მისი ხის ფიცარი უკვე დაიღრღნა, დაიმტვრა ... დაე, ამაღლებულმა ღირსებამ გამოსცეს კურთხეული ბრძანება და ... მისცეს მათ ნება კუმამას ხსენებული კარების შეკეთებისა ... დაიწერა 26 წმინდა ზუ-ლკადას 912/1514 წ. 23 იანვარს, თანახმად სამეფო ბრძანებულებისა“.

როგორც ჩანს, ბრძანების გაცემა მამლუქ მოხელეებს არ დაუყოვნებიათ და არც ბეენას დაუგვიანებია კარის შეკეთება. მოპოვებული უფლება მაშინვე სისრულეში მოუყვანია. ისიც აღსანიშნავია, რომ კარის განახლების უფლებას სხვის საკუთრებაზე ბეენა ვერც მიიღებდა და ვერც შეასრულებდა, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან ადგილზე, როგორიც არის ყველა ქრისტიანისთვის უმთავრესი ტაძარი -- ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ეკლესია.

ამბავი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიის ყველა სამლოცველოსა თუ ეკვდერს (მინაშენს), სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის სახით, თავისი საკუთრების გააფთრებული დამცველი პატრონი ჰყავდა, მითუმეტეს შემოსასვლელ კარს, თავისი კლიტეებითა და საკეტებით.

ამავე დროს, ვინმე „იმერელი, ოკრიბელი ბერის“, ლავრენტი გოგელაძის (გოგოლაძის) 1806 წლის მინაწერი გვამცნობს, რომ „იერუსალიმს [ქრისტეს საფლავის ეკლესიას, მ.მ.] ხის კარები აბია კვიპაროზის, და ზედ ქართველი გიორგი მეფე სწერია, სცანთ და იძიენით“.

ბერი ლავრენტის ეს მინაწერი ალექსანდრე ცაგარელმა (1883 წ.) და ნიკო მარმა (1902 წ.) შენიშნეს ძველ ხელნაწერზე ჯვრის მონასტრის წიგნსაცავში მუშაობისას.

ქრისტეს საფლავის ეკლესიის კარის შეკეთების ამბავი ნიკო მარის მიერ გადმოწერილი ბეენას ზემოთ აღნიშნული მინაწერის (1514 წ.) წყალობით 1902 წელს გახდა ცნობილი. მოგზაურთა ჩანაწერებიც გვამცნობენ, რომ XIV-XV საუკუნეებში, ტაძარში შესასვლელ კართა გასაღებს ქართველები მართლაც ფლობდნენ. მაგალითად, რუდოლფ ზუდჰაიმის 1347 წლის უწყების მიხედვით, „ქართველებს აქვთ წმინდა საფლავის ეკლესიის გასაღები და ისინი დიდძალი ფულისთვისაც არ შეელევიან საფლავის ქვის უმცირეს ნატეხსაც კი“.

ამ მნიშვნელოვანი ცნობის მიხედვით გაურკვეველია თუ ტაძრის რომელი კარის გასაღები ეპყრათ ქართველ ბერებს. უცხოელი მოგზაურის ფელიქს ფაბრის 1480-1483 წლების ჩანაწერში მითითებული ნიშნების მიხედვით კი, კარის ადგილსამყოფელის ამოცნობა შესაძლებელია: „წმინდა საფლავის ეკლესიას, ... აქვს სამი შესასვლელი ... მეორე შესასვლელი ისაა, რომელსაც პატარა ეზოდან ტაძრის პირველ ქვაბში მივყავართ. შესასვლელი ჭიშკრით იხურება და ურდულით იკეტება; ამ კარის გასაღებები ამჟამად ლათინი მინორიტების ძმობას ეკუთვნის, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ მათ ქართველები ფლობდნენ“.

ტექსტის უკმარობის გამო, არ ჩანს ტაძრის პირველ შესასვლელად რომელი მიაჩნია ფელიქს ფაბრის, მაგრამ, ეჭვგარეშეა, ატრიუმიდან (ეზო) შესასვლელი ცენტრალური კარი იგულისხმება . ცენტრალური კარიდან ტექსტში ნახსენებ „პირველ ქვაბამდე“ (უთუოდ ქრისტეს საფლავისა და აღდგომის წმინდა ადგილი -- კუვუკლია /ბერძ. განსასვენებელი/) პირდაპირ, როგორც ტექსტშია მითითებული, ვერ მოხვდებით, გარკვეული მანძილია გასავლელი სხვა პატარა თუ დიდი სამლოცველოების გავლით, რომლებსაც ფაბრი არ ახსენებს. ამასთანავე, ატრიუმს „პატარა ეზოს“ ნამდვილად ვერავინ უწოდებს და არც მისი „ჭიშკრითა და ურდულით“ დაკეტვაა სადმე აღწერილი .

გარდა ამისა, ერთ არაბულ საბუთში (1512 წ. 24 ნოემბერი) წერია, რომ „იყოს ქვედა ადგილი მათი [ქართველების, მ.მ.] საკუთრება, ფრანკების რელიგიური თემის გარეშე“.

საბუთში არ არის მითითებული თუ რა იგულისხმება „ქვედა ადგილში“. უფრო საფიქრებელია, რომ გოლგოთის ქვემოთ განლაგებული „ადამის ეკვდერი“ ივარაუდებოდეს. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ არა უშუალოდ გოლგოთის ქვეშ, არამედ საპირისპირო მხარეს, ქვემოთ, როტონდის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის სვეტებს მიღმა განლაგებული მარიამ მაგდალინელის ღია სამლოცველო იგულისხმებოდეს .

არაბი მამლუქების მიერ კარის შესაკეთებლად გაცემული ზემოხსენებული ბრძანების (1514 წ.) დაწერამდე სულ ცოტა ხნით ადრე, 1507 წელს, „ღვთისმშობლის და იოანე მახარებლის სამლოცველო“, იგივე „ადამის ეკვდერი“ ისედაც ქართველებისა ჩანს . მარიამ მაგდალინელის ეკლესია კი, ბეენას იერუსალიმში ყოფნის ახლო ხანებში, სადავო იყო. საბუთების თანახმად, ის ქართველთა მფლობელობაში უფრო ადრინდელ წლებშია -- ჰანს და პეტერ როტის ცნობით 1440 წელს: „მარიამ მაგდალინელის სამლოცველო (წმინდა საფლავის ეკლესიაში) ეკუთვნის ქართველებს“ ვფიქრობ, გოლგოთას სვინაქსარის 1400 წლის მინაწერის ფრაზაც -- „აღდგომისა კარსა ზედა მარჯნით ჩუენია ჯდომა“, სწორედ კუვუკლიის მარჯვნივ მდებარე მარიამ მაგდალინელის ღია სამლოცველოს გულისხმობს. იოჰან ტუხერნის ცნობით, რომელმაც იერუსალიმში 1479-1480 წლებში იმოგზაურა, მარიამ მაგდალინელის სამლოცველო ჯერ კიდევ ქართველებს ეკუთვნოდათ. მაგრამ ფელიქს ფაბრის ზემოთმოტანილი ჩანაწერის მიხედვით, 1480-83 წლებში, შემოსასვლელი კარის დაკარგვასთან ერთად, საფიქრებელია, ისიც დაკარგეს.

ბეენა კი სწორედ დაკარგული საკუთრების დაბრუნებას ცდილობდა.

ფაბრის აღწერილობის მიხედვით, ეს მეორე შესასვლელი, ვფიქრობ, უშუალოდ კუვუკლიის მარჯვენა მხარეს, როტონდის სვეტებს მიღმა, დღეისათვის ფრანგთა კუთვნილ ნაწილში უნდა იყოს განთავსებული.

ამჟამად, აქედან ერთი გასასვლელი პატარა, მაგრამ ძალიან მყუდრო ეზო-ბაღს უკავშირდება. კარის წინ სამი მაღალი თაღია, რომელთა ბოძებიდან უშუალოდ კარის სიახლოვეს არსებულ სვეტს სადა კაპიტელი (სვეტისთავი) ამკობს. მისი ერ-თადერთი გარსშემოვლებული ორნამენტი მე შროშანის ყვავილად აღვიქვი („შროშანი ღელეთა“) . ამის გამო კიდევ უფრო მიმზიდველი მეჩვენებოდა, მაგრამ სულ არ მიფიქრია, თუ რა საიდუმლოს ინახავდა მის უკან განლაგებული კარი (სურ. 1). ქუჩი-დან, „პატარა ეზოს“ გავლით, მხოლოდ ამ კარიდან არის შესაძლებელი ტაძრის „პირველ ქვაბში“ ანუ ქრისტეს საფლავთან (კუვუკლიასთან) პირდაპირ, სხვა სამლოცველოების გვერდით გაუვლელად მოხვედრა, როგორც აღწერილია ფელიქს ფაბრის ზემოთმოყვანილ ჩანაწერში.

სურ. 1. კარი, რომელიც ამ სვეტის უკან მოჩანს, ტაძარში არა მთავარ, არამედ მეორე შემოსასვლელის „პატარა ეზოს“ უკავშირდება (ავტორის ფოტო).

თუკი ქრისტეს საფლავის ეკლესიის გასაღებს „იერუსალიმის კლიტე“ შეიძლება ერქვას -- „მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა [იგულისხმება მუსლიმები, მ.მ.] დაიპყრნესო, და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ ... მივიდა პიპაჲ წინაშე ნისრელისა [ეგვიპტელისა, მ.მ.], ხოლო მან ... მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი“ --, მაშ, არც ის არის გამორიცხული, რომ „აღდგომის ტაძრის გასაღებში“ არა ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ეკლესიის მხოლოდ ცენტრალური, არამედ ფაბრის მიერ ხსენებული „მეორე კარის“ საკეტიც იგულისხმებოდეს.

რამდენადაც ტაძრის ცენტრალური კარის მასიური კლიტე-გასაღები საუკუნეების მანძილზე ორ არაბულ არაქრისტიან ოჯახს აბარია, ბეენა თავისი ნებით ღამით დაკეტილ კარს ვერაფრით გააღებდა. მუჰამედის შტოს წარმომადგენელმა ჯუდე ალ-ჰუსეინის შეიხების გვარის ოჯახმა, რომელთაც გასაღების და წმინდა საფლავის ბეჭდის შენახვა ევალებათ, თავის მხრივ, ნუსეიბის სახლეული დაიყენეს კარის გამღებ-დამკეტავად.

მოვალეობა მემკვიდრეობით თუ რა დროიდან გადაეცემა, ზუსტად თქმა ძნელია. თუმცა ბეენას დროს, კარს რომ მეკლიტურები უკვე ჰყავდა, ეჭვგარეშეა. მის მიერ ტაძრის კარის აღდგენა, ოსმალთა სულტან სელიმ I-ის პალესტინაში შემოჭრამდე (1516 წ.) სულ ცოტა ხნით ადრე, 1514 წელს მოხდა. მაგრამ, ამავე წლის ზემოთ მოხსენიებული საბუთის ტექსტი, ბესიკ ხურცილავას აზრით, რომელსაც მეც ვემხრობი, „თავის მხრივ, ირიბად გვაგულებინებს იმ დროს კარის მეკლიტურთა არსებობასაც“ და უთუოდ რაღაც წესის შესრულებასაც.

ღამით კარის გასაღებად ამ ორი ოჯახის უხუცესთა ან სხვა მეკლიტურების სახელზე საგანგებო ბრძანება უნდა ყოფილიყო გაცემული, რომელიც ჯერ-ჯერობით არ ჩანს -- არც სადმეა ჩანიშნული, არც ხელნაწერებზეა მიწერილი და არც მამლუქთა არაბულ, ყოველგვარი ქმედების აღმნუსხველ, არაჩვეულებრივად მოწესრიგებულ საბუთებშია დაცული.

რამდენადაც ამ ორი მუსლიმი ოჯახისთვის დაკისრებული, ტრადიციად ქცეული მოვალეობის ვინმესთვის გადაცემის ფაქტი არსად, არანაირ დოკუმენტში, არავის მიერ აღნიშნულა და არც „ძეგლი ერისთავთაშია“ დასახელებული ტაძრის კარის რაობა, საფიქრებელია, რომ XIV საუკუნის დასაწყისში მოპოვებული „კლიტენი“ სწორედ იმ კარის გასაღებს გულისხმობს, რომელიც, შემდგომ, XVI საუკუნის დასაწყისში, ბეენას შეუკეთებია. ბეენა, არათუ გამოცვლას ან წარწერის ამოჭრას, არამედ შეკეთებასაც კი, მხოლოდ იმ კარისას შეძლებდა, რომლის პატრონის (ქართული თემის) წარმომადგენელიც თავად იყო.

მაგრამ, ვინც კი ამ საკითხს შეხებია (ალ. ცაგარელი, გოჩა ჯაფარიძე, თინა ცერაძე, ბესიკ ხურცილავა, გიორგი გაგოშიძე), ყველას ბეენას მიერ აღდგენილ კარად მხოლოდ ატრიუმიდან, სამხრეთის მხრიდან გაჭრილი დიდი, ცენტრალური კარი (სურ. 2) აქვს წარმოდგენილი. ქართული საძმოს კუთვნილი იმდროინდელი კარი კი, რომლის „ხის ფიცარი უკვე დაიღრღნა, დაიმტვრა“, ზემოთმოტანილი საბუთების მიხედვით, ვფიქრობ, ქრისტეს საფლავის ტაძრის დასავლეთ (ან ჩრდილოეთ) ნაწილში არსებული სულ სხვა კარი უნდა იყოს.

თავდაპირველად, ბეენას განახლებულ კარად, ისევე, როგორც ყველას, მეც ცენტრალური დიდი კარი მესახე-

ბოდა. მაგრამ შემდგომ, ამ ამბის შესახებ ქართულ წყაროებში არსებულმა ზოგიერთმა მინიშნებამ აზრი შემაცვლევინა, ე. წ. „ირიბი ინფორმაციის“ მიდევნებამ კი სხვა შემოსასვლელი კარის არსებობა მაფიქრებინა.

ამ მეორე შესასვლელზე მოგზაურთა აღწერილობებში, საბუთებსა თუ სხვა წყაროებში მეტად მწირი ცნობებია. მის შესახებ არც ტიმოთე გაბაშვილი ამბობს რამეს, თუმცა კი მისი მონაყოლის მიხედვით, საფიქრებელია, რომ მას პიპასა და იოანე პანტაისძის მოპოვებული „კლიტენი იერუსალიმისანით“ გასაღები კარი უნახავს -- ატრიუმში გამომავალი საყდრები მეორე დღეს დაუთვალიერებია („ხვალისა წარგვიძღვენ და მიგვიყვანეს ...“), ხოლო, ჩასვლისთანავე ჯერ ბერძენ პატრიარქს სტუმრებია: „მივედით კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიასა და სრასა იერუსალიმელისასა“ ანუ პატრიარქის სასახლეში -- საპატრიარქოში. აქედან ტაძარში მისასვლელ უმოკლეს გზას კი XIV საუკუნეში მოპოვებულ „კლიტენი იერუსალიმისანის“ ბჭე-კართან მივყავართ, იგივე ბეენას მიერ XVI საუკუნეში აღდგენილ კართან, რომელზეც, ბერი ლავრენტის გადმოცემით, „ქართველი გიორგი მეფე სწერია“.

ტიმოთეს თხრობის მიხედვით, პირველ დღეს ის, როგორც ჩანს, ტაძარში სწორედ ამ მეორე კარიდან შესულა: „მივიწიენით და შევლეთ კარი დავითისი ... მოგვეგებენ ეპიტროპე და სხვანი გამგენი ეკლესიისანი ... შევედით დიდსა მას ეკლესიასა და მივიწიენით საფლავსა უფლისასა ... და გამოველი მუნით და ვიხილეთ ადგილი, სადა ჯვარიდამ გარდმოხსნეს და მუნ დადვეს და წარგრაგნიდეს [მირონცხების ქვა, მ.მ.]. ... და მივედით დიდსა მას კათოლიკე ეკლესიასა [კათოლიკონი, მ.მ.] ... აღველ მუნვე გოლგოთად“.

აქვე აღსანიშნავია, რომ ეს ამონარიდი ჩ ხელნაწერიდან არის მოტანილი. მაგრამ, ავტოგრაფში, ხელნაწერში, რომელსაც ტიმოთე იერუსალიმში ყოფნისას უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ წერდა , იგივე ამბავი ცოტა სხვანაირად ჩაუნიშნავს: „შეგვიძღვნენ დიდსა ეკლესიასა და თაყვანის-ვეცით ცხოვრების მომცემელსა საფლავსა უფლისასა ... გამოველ და თაყვანის-ვეცით დიდსა მას კათოლიკე ეკლესიასა. და აღველ გოლგოთად ...“.

“კათოლიკე ეკლესია“ ანუ კათოლიკონი ქრისტეს საფლავის სამლოცველოს პირდაპირ არის განლაგებული. „საფლავი უფლისადან“ ე. ი. კუვუკლიიდან გამოსული ტიმოთე კათოლიკონში შესულა, იქ წარმოთქმული ლოცვის შემდეგ კი, გვერდითა კარიდან გამოსულა, რადგან კათოლიკონის მხოლოდ გვერდითა კარიდან გამოსვლისას შეიძლება გოლგოთა „მუნვე“ იხილო (ჩ ხელნაწერის მიხედვით, „აღველ მუნვე გოლგოთად“). ეს „მუნვე“ და მირონცხების ქვის აღწერა (მისი ამ კონტექსტში მოტანა სრულებით არღვევს თანმიმდევრობის ხაზს რომელი კარიდანაც არ უნდა შეხვიდეთ), ტიმოთეს ხელნაწერში არ არის, მაგრამ საფლავის (კუვუკლიის) შემდეგ კათოლიკონში ლოცვამა და „მუნვე“ გოლგოთაზე ასვლამ ტაძარში მისი მეორე კარიდან შემოსვლის ვარაუდი გამიმყარა. ტიმოთეს, როგორც ჩანს, ჩ ხელნაწერი თვითმხილველის მეხსიერებით შემდგომ შეუვსია.

ამ ამონარიდის მიხედვით, ცხადია, რომ ტიმოთე წმინდა ადგილების თაყვანსაცემად ცენტრალური კარიდან არ შესულა. ასეთი მიმართულებით (ქრისტეს საფლავი, კათოლიკონი და „მუნვე გოლგოთა“) მხოლოდ ჩრდილოეთიდან ან დასავლეთიდან შეიძლება მოძრაობა. მთავარი კარიდან, ატრიუმიდან შესვლისას ზუსტად საწინააღმდეგო მიმართულებაა -- გოლგოთა, მირონცხების ქვა და კათოლიკონის პირდაპირ არსებული ქრისტეს საფლავი, რომელიც შესვლისთანავე თვალით არც ჩანს და მასთან მისასვლელად, გოლგოთის, ადამის ეკვდერისა და მირონცხების ქვის შემდეგ, სომხური ნაწილია კიდევ გასავლელი.

როგორც ჩანს, ტიმოთე გაბაშვილი ბევრ მიმსვლელ-მომსვლელს განარიდეს და პატივისცემის ნიშნად შეიყვანეს იმ კარიდან, რომელიც ერთ დროს ქართველებს ეჭირათ. 1757 წელს იერუსალიმში მყოფ ტიმოთეს, მითუმეტეს ტაძარში ამ კარიდან შესულს, წესით, ბერი ლავრენტის აღწერილი წარწერა უნდა ენახა, მაგრამ, ეტყობა, ქართული წარწერის არსებობაზე ან არავის მიუნიშნებია, ან ფართოდ გაღებულ კარზე ვერ შეამჩნია. საინტერესოა, რომ ტიმოთე საერთოდ არ აღნიშნავს არც ქართველთა მოპოვებულ „იერუსალიმის კლიტის“ ამბავს, არც ბეენას ამაგს, არც ტაძრის კარზე არსებულ წარწერას.

ასევე არაფერს ამბობს ამის შესახებ 1899 წელს იერუსალიმში ნამყოფი პეტრე კონჭოშვილი, თუმცა ზუსტად აღწერს ჩრდილო-დასავლეთის მხარეს გასასვლელის გასწვრივ განლაგებულ ერთ დროს ქართველთა კუთვნილ სამლოცველოს.

აშკარაა, რომ ტიმოთე გაბაშვილისა და პეტრე კონჭოშვილისთვის ქართველთაგან ტაძარში ერთ-ერთი შესასვლელის პყრობა, ბეენას მიერ კარის აღდგენა და მასზე ქართული წარწერის არსებობა უცნობი იყო, რასაც თავისი მიზეზი უნდა ჰქონოდა.

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანის („ძეგლი ერისთავთა“, სადაც დაცულია ცნობა „კლიტენი იერუსალიმისანის“ შესახებ) თავ-ბოლო ნაკლული, ორგზის გადაწერილი პირი 1897 წელს იპოვა და ქართულად გამოაქვეყნა თედო ჟორდანიამ. ფრანგულად გამოსცა მარი ბროსემ 1851 წელს. დედანი 1954 წელს გამოაქვეყნა შოთა მესხიამ. ასე რომ, ტიმოთეს „იერუსალიმის კლიტის“ ამბავი ვერ ეცოდინებოდა, კონჭოშვილს კი ან გამორჩა ჟორდანიას გამოცემულ „ქრონიკების“ II ტომში გამოქვეყნებული ხელნაწერი, ან სანდოდ არ მიიჩნია.

რაც შეეხება ბეენასა და ბერი ლავრენტის მინაწერებს, სავარაუდოდ, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მათი ვერ ნახვის მიზეზი ტიმოთე გაბაშვილისა და პეტრე კონჭოშვილის მოგზაურობის სხვა მიზანი იყო, რომლის იქეთ სამუშაოდ დროც აღარ ექნებოდათ. „ჯერეთ მოცალება და ჟამნი არა მომეგნეს“, როგორც ტიმოთე იტყოდა.

ამასთანავე, ლავრენტი გოგელაძის მინაწერი ტიმოთეს მოგზაურობის შემდგომ, 1806 წელს არის შესრულებული. ხოლო ბეენას მიერ კარის შეკეთების ამბავი ნიკო მარმა 1902 წელს კი გადმოწერა, მაგრამ ისიც, გოჩა ჯაფარიძის მიერ არაბული წყაროების მიკვლევამდე (XX-XXI სს. მიჯნაზე), გაურკვეველი და ბუნდოვანი რჩებოდა.

ქრისტიანობის უმთავრესი ტაძრის სამიდან ერთ-ერთი შესასვლელის პყრობა, მითუმეტეს საკუთარი ეზოთი, ჭიშკრითა და ურდულით, უთუოდ დიდი პატივია. მით უფრო, როდესაც გზა ამ კარის იქეთ, პირდაპირ ბერძნულ-მართლმადიდებელი საპატრიარქოსკენ მიემართებოდა.

ლავრენტი გოგელაძის მინაწერში, რომლითაც ის ქართველებს იერუსალიმში წინაპართა ნაამაგარის პატრონობისკენ მოუწოდებს, იკითხება: „იერუსალიმს იხილეთ ... წმ. და დიდი შესავალი კარი, ქვედა კარი, [ხაზგასმა ჩვენია, მ.მ.] ნათელი მხიარულისავე [წმ. საფლავის ეკლესია, ალ. ც.], თუ რა სწერია, და მით სცანთ წმ. ამის ქალაქისა იერუსალიმისა საქმე და ამბავი“.

თუკი „წმ. და დიდი შესავალი ქვედა კარი“ აქ მთავარ (სამხრეთის) კარს გულისხმობს, მაშ ქართველთა კუთვნილ შესასვლელს „ზედა კარი“ უნდა რქმეოდა. სამხრეთის კართან შედარებით ის მართლაც ცოტა შემაღლებულზეა განლაგებული -- სამხრეთის მხრიდან ატრიუმთან მისასვლელად საკმაოდ მრავალსაფეხურიანი კიბეა ჩამოსასვლელი. მაგრამ თუ ეპითეტი „ქვედა“ მეორე კარის აღმნიშვნელია, მაშინ „კლიტენი იერუსალიმისანის“ კვიპაროზის კარიც, რომელზეც „ქართველი გიორგი მეფე სწერია“, მთავარი კარის დარად „წმინდა და დიდად“ ყოფილა მოსახსენებელი.

ზემოთჩამოთვლილ ცნობათა გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ ბეენას ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ეკლესიის არა მთავარი (სამხრეთის), არამედ სხვა კარი შეუკეთებია. ხოლო, რადგან ის ქართველთა სადარბაზო შესასვლელად ითვლებოდა („მუდამ იღება და იკეტება ქრისტიანული რელიგიური თემისათვის“), მით უფრო საფიქრებელია, რომ სწორედ ამ კარის „კლიტენი“ მოიპოვეს პიპამ და იოანე პანტაის ძემ XIV საუკუნის დასაწყისში.

ფელიქს ფაბრიც, მისი აღწერილობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვფიქრობ, მეორე შესასვლელად (რომელსაც „რამდენიმე წლის წინათ ქართველები ფლობდნენ“), სწორედ ამ კარს გულისხმობდა.

რამდენადაც მე თავად ეს კარი არ მინახავს და მისი ადგილსამყოფელი მხოლოდ საბუთებზე დაკვირვებით შევეცადე მომეძებნა, ჩემს მიერ აქ გამოთქმული ვარაუდის სისწორეში დასარწმუნებლად მივმართე კაპერნაუმში (გალილეა) თორმეტი მოციქულის სახელობის ეკლესიის იღუმენს, არქიმანდრიტ ირინარხოსს. მისგან შევიტყვე, რომ ფაბრის ჩანაწერში მოხსენიებული „პატარა ეზო“ ახლაც არსებობს, დიდი ხნის წინ გაუქმებული კარი კი, დღეს ნაწილობრივ მიწაში ჩაფლულა, თუმცა მისი ქვის კონტური ახლაც კარგად ჩანსო. ტაძრიდან იერუსალიმის მართლმადიდებელ ბერძნულ საპატრიარქოსკენ უმოკლესი გზა რომ ამ კარიდან იწყებოდა, ესეც მისი ვარაუდია.

არქიმანდრიტ ირინარხოსის მიერ გადაღებული სურათის დაფაზე აღნიშნულია, რომ აღდგომის ეკლესიის ამ შესასვლელს (დასავლეთის მხრიდან) „ქალწული მარიამის თაღი“ ეწოდება და ის ჯვაროსნების პერიოდს განეკუთვნება (სურ. 3), რაც სამხრეთის მთავარ კართან მსგავსებითაც დასტურდება. „კლიტენი იერუსალიმისანით“ გასაღები კარი დიდ კართან შედარებით მომცროა, თუმცა მისნაირი, ოდნავ შეისრული ტიმპანი აქვს. სურათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მსგავსება მის დეკორსაც ეხება -- იდენტურია ზოლური მოჩარჩოება და, განსაკუთრებით, თავზე მოვლებული, ჯვაროსნების პერიოდის ნაგებობებისთვის დამახასიათებელი ე. წ. „ბალიშისებრი“ წყობით გაფორმება.

სურ. 2. ტაძარში შესასვლელი მთავარი (სამხრეთის) კარი (ავტორის ფოტო).

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მომლოცველები ტაძარში აქედან ვეღარ შემოდიან, მარცხენა ფრთის ნაწილი კი სხვა ნაგებობით არის დაფარული, მარჯვნივ შემორჩენილი სვეტების წყალობით, საუკუნეების წინანდელ სინატიფესა და საზეიმო ელფერს კარი დღესაც ინარჩუნებს. თუმცა კი, მთავარი კარისგან განსხვავებით, რომლის სამივე სვეტი მაღალ საფუძველზე დგას, „იერუსალიმის კლიტეთა“ ორი სვეტი (მათ შორის ამჟამად ვერტიკალური კუთხოვანი შვერილია) ბაზისის გარეშეა დარჩენილი.



სურ. 3. ქალწულ მარიამის თაღი. იგივე „კლიტენი იერუსალიმისანის“ კარი. მარცხენა კუთხიდან მტრედი იყურება. არ ვიცი, სურათის გადაღების დროს ჩამოჯდა თუ იქ დაიდო ბუდე, მაგრამ რატომღაც მესიამოვნა. (არქიმანდრიტ ირინარხოსის ფოტო)

ქვაფენილი შედარებით ახალი დაგებული ჩანს და, სავარაუდოდ, მათი საყრდენი ნაწილი დროთა ვითარებაში მიწის ფენით დაიფარა (ბაღის მხრიდან სურათი, სამწუხაროდ, არა მაქვს).

რამდენადაც ქართულ ძეგლებში რელიეფი და წარწერები ხშირად სწორედ ტიმპანზე გვხვდება, მგონია, რომ ბეენას ნაწერი (იქნებ უფრო ადრინდელიც) არა მარტო „კვიპაროზის ხის კარზე“, არამედ მის თავზე შეღრმავებულ ზედაპირზეც შეიძლება ყოფილიყო განთავსებული. იქნებ ამჟამადაც შემორჩა სვეტებზე რამოდენიმე ქართული ასო ან სიტყვა.

თუკი ჩემი მოსაზრება სწორია და 1757 წელს იერუსალიმში მყოფი ტიმოთე გაბაშვილი ქრისტეს საფლავის ტაძარში დასავლეთის კარით შემოვიდა, ხოლო იმერელმა ლავრენტი ბერმა ამ კარზე ქართული წარწერა 1808 წლის ხანძრამდე სულ ცოტა ხნით ადრე ნახა (1806 წ.), მაშინ ბეენას წვალებით შეკეთებული „კვიპაროზის კარი“ ან ცეცხლმა შთანთქა, ან ხანძრის შემდგომ რეკონსტრუქციას შეეწირა. მაშ, კარის ქვებით ამოშენების ხანად ხანძრის შემდგომი აღდგენითი სამუშაოები უნდა ვივარაუდოთ.

და მაინც, ჯვარის მამა ბეენას მიერ ღამის ორ საათზე კარის შეკეთებას თავისი მიზეზი ექნებოდა. ის ან მეტისმეტად ჩქარობდა, ან ნაკლები მოწმე უნდოდა ჰყოლოდა, ან წინააღმდეგობის გაწევას ელოდა. როგორც ელენე მეტრეველმა აღნიშნა, ნაშუაღამევს აღდგომის ტაძრის კარის შებმა ბეენასთვის გარემოების გათვალისწინებით, გარკვეული ტაქტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. ჯვარის მამებს, დიდ გარჯასთან ერთად, უფლებების დაცვა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბრძოლით უხდებოდათ, მუდმივი სიფხიზლე, დიდი სიყოჩაღე სჭირდებოდათ. იცავდნენ კიდეც, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იმ რთულ დროში. როგორც გრიგოლ ფერაძემ აღნიშნა, პალესტინის განსაკუთრებულმა პირობებმა თავისი გავლენა მოახდინა ბერმონაზვნობაზე და „წარმოშვა ბერის განსაკუთრებული ტიპი -- მეომარი ბერის სამოსში“.

იერუსალიმში ხანმოკლე დროით ჩასული ბეენა ჩოლოყაშვილიც (1512-1514 წწ.) თავდაუზოგავად ცდილობდა ქართველთა რუდუნებით მოპოვებული უფლებების დაბრუნებას. ელენე მეტრეველის აზრით, ასეთი გადამწყვეტი ღონისძიებები ბრძოლის გარეშე ვერ ჩაივლიდა.

ქრისტინე შარაშიძის დახასიათებით კი, ბეენა არის განსაკუთრებული ენერგიის პიროვნება, რომელმაც არ იცის მერყეობა-ყოყმანი და რომელთან „დასარჩლება ან პირისპირ შეტაკება სახიფათო საქმედ ჩანს“, სამართლის აღდგენისას ნამდვილ დარბევასაც არ ერიდება, თუმცა კი თავის იძულებით ნამოქმედარს მინაწერში ოდნავი სინანულით აღნიშნავს.

ბეენას ღამით სამუშაოდ მიზეზი ბევრი ექნებოდა, მაგრამ, შესაძლოა, სწორედ რომ ფრანცისკელებთან კიდევ ერთხელ შეხლა-შემოხლას აარიდა თავი, რაც მამლუქ მოხელეთა საბუთებში აღნუსხული დახასიათების შესაბამისად, მისი „უკიდურესად მორიდებული და ღირსეული“ ბუნების დასტურია.



წმ. საფლავის ეკლესიის გეგმა

(ტაძრის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილების მონახაზი)

ა. ატრიუმი

ბ. ქრისტეს საფლავის სამლოცველო (კუვუკლია)

გ. გოლგოთა

დ. როტონდა

ე. მარიამ მაგდალინელის ღია სამლოცველო (ფრანცისკელთა)

1. მთავარი (სამხრეთის) კარიბჭე
2.მარიამ მაგდალინელის სამლოცველო (ბერძნულ-მართლმადიდებელი)
3. მარიამ მეგვიპტელის სამლოცველო
3ა. ჯვაროსნების დროინდელი (კიბე)
4. წმ. მიქაელის სამლოცველო (კოპტური)
5. გოლგოთაზე ასასვლელი კიბე
5ა. გოლგოთიდან ჩამოსასვლელი კიბე
6. ადამის ეკვდერი, იგივე ღვთისმშობლისა და იოანე მახარებლის სამლოცველო (გოლგოთის ქვედა სართულზე)
7. მირონცხების ქვა
7ა. მოზაიკური პანო მირონცხების ქვის უკან
8. სამი მარიამის ღია კაპელა
9. კიბორიუმი, სამლოცველო ჯვარცმის მზირალი მარიამისა და იოანეს ადგილზე, იგივე მენელსაცხებლე დედათა მცირე სამლოცველო (სომხური)
10. აღდგომის ეკლესია — კათოლიკონი (ბერძნულ-მართლმადიდებელი საპატრიარქოს საკათედრო ტაძარი)
10ა. კათოლიკონის გვერდითა კარი
11. მკვდრეთით აღმდგარი იესოს გამოცხადების ამსახველი ჰორელიეფი მარიამ მაგდალინელის ღია სამლოცველოს აღმოსავლეთ კედელზე
11ა. იმავე სიუჟეტის ფერწერული ტილო დასავლეთ კედელზე
12. ღვთისმშობლის თაღები
13. ქრისტეს დილეგი
14. ღვთისმშობლის წინაშე იესოს გამოცხადების სამლოცველო
15. საკრისტია (მნიშვნელოვანი ექსპონატების შესანახი საცავი კათოლიკურ ეკლესიაში)
16. „კლიტენი იერუსალიმისანით“ გასაღები სავარაუდო კარი
17. ჯვაროსნების დროინდელი ატრიუმის სვეტების შემორჩენილი ბაზისები
17ა. ატრიუმის ერთადერთი დაუზიანებელი სვეტი

სქოლიო:

1 . ჯვარის მამა -- ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, რომელიც იმ დროს პალესტინის მთელ ქართულ სათვისტომოს ხელმძღვანელობდა. ამასთანავე, გოლგოთის იღუმენის მოვალეობასაც ასრულებდა და საქართველოს მეფეს იერუსალიმის პატრიარქთან აკავშირებდა.

2 . თედო ჟორდანიას ვარაუდით, სწორედ ლავრენტი გოგელაძეს უნდა ვუმადლოდეთ 1155 წლის ხელნაწერთა ჩვენამდე ყველაზე სრულად მოღწეული კრებულის ე. წ. „ჯრუჭის სვინაქსარის“ ჯვრის მონასტრიდან გამოტანას, რომლის ფურცლებმა, სხვა მეტად მნიშვნელოვან ცნობებთან ერთად, გიორგი-პროხორეს (ჯვრის მონასტრის აღმშენებელი XI საუკუნეში) ცხოვრება და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შენების ამბავი შემოგვინახა.

3 . ტიმოთე გაბაშვილი სწორედ ამ კარს მიიჩნევს იმ საზღვრად, რომლის ზღურბლიც ტაძარში შესვლას მოწადინებულმა მარიამ მეგვიპტელმა ვერ გადააბიჯა: „ერთი იგი არს, რომელსა მარიამ მეგვიპტელი ვერ შევიდა, და მეორე -- სხვა“. მარიამ მეგვიპტელის სამლოცველოც მარჯვნივ, ზუსტად კარის ამ მხარეს, მის სიახლოვესვეა განლაგებული.

დოკუმენტში ნახსენებ მესამე შესასვლელში, საფიქრებელია, იგულისხმებოდა მარიამ მეგვიპტელის სამლოცველოსა და ცენტრალური შესასვლელის ამოშენებულ კარს შორის არსებული კიბე, რომლითაც ჯვაროსნები გოლგოთაზე ადიოდნენ. (სურ. 2-ზე ამ კიბეზე ტურისტები სხედან). ამჟამად ეს გზა გაუქმებულია, სამლოცველო კი ფრანცისკელთა ორდენს ეკუთვნის. დღეისათვის, აქვე, ატრიუმის მარჯვენა კუთხეში განლაგებულ წმ. მიქაელის სახელობის კოპტური სამლოცველოდან შეიძლება ტაძრის ერდოზე მოხვედრა.

4 . ქრისტეს საფლავის ეკლესიის ატრიუმი სამი მხრიდან შენობებით არის შემოსაზღვრული, მეოთხე, ღია ნაწილში კი, დღეისათვის ძველი სვეტებიდან მხოლოდ ერთია შემორჩენილი (ატრიუმის დას. მხარეს, კუთხეში), დანარჩენი ხუთის ბაზისი ოთხსაფეხურიანი ფართო კიბის მეორე საფეხურზე თვალნათლივ ჩანს. ამგვარ ეზოს ვერც ჭიშკარი ექნებოდა და ვერც ურდულით დასაკეტი კარი.

5 . სამლოცველო გოლგოთის ქვეშ, სადაც გადმოცემით, ჯვარცმისას ადამის თავის ქალა გადმოვარდა და ამასთანავე ადგილი, საიდანაც ღვთისმშობელი და იოანე მახარებელი თვალს ადევნებდნენ ჯვარცმულ იესო ქრისტეს. ამიტომ ეს სამლოცველო, რომელიც ამჟამად ბერძ. მართლმად. ეკლესიას მიეკუთვნება, ხშირად მათი სახელითაც გვხვდება.

6 . როტონდის სვეტებს მიღმა, ორ თაღს შორის (საიდანაც ქრისტეს დილეგისკენ მიმავალი დერეფანი, ე. წ. „ღვთისმშობლის თაღებია“) კედელზე მარიამ მაგდალინელის მაცხოვართან შეხვედრის ამსახველი ჰორელიეფია, მის მოპირდაპირე კედელზე კი იმავე სიუჟეტის ფერწერული ტილო. ამ ორ კედელს შორის გეომეტრიული ორნამენტის იატაკია. ეს ის სავარაუდო ადგილია, სადაც მარიამ მაგდალინელმა იხილა ზეცად ამაღლებული უფალი. შეხვედრის ადგილად ეს არეა მიჩნეული და მაგდალინელის ღია სამლოცველოდაც ეს ითვლება. ზუსტად მის უკან მდებარე საყდარი ეკუთვნოდათ ქართველებს.

7 . 1507 წლის ჩანაწერის მიხედვით, „სამლოცველო გოლგოთას მთის ძირში (ღვთისმშობლის და იოანე მახარებლის სამლოცველო) მათ [ქართველებს, მ.მ.] ეკუთვნის“. ასევე 1542 წლის ცნობითაც, „ამ ადგილზე, სადაც ღვთისმშობელი და წმ. იოანე ღვთისმეტყველი იდგნენ და ჯვარცმულ ქრისტეს უმზერდნენ, ქართველები ასრულებენ წირვას”. იგივე სურათია უფრო ადრინდელ ჩანაწერებშიც [1479-80 წწ., 1494 წ.].

8 . შროშანი -- ბევრ სხვა მნიშვნელობასთან ერთად, ქრისტიანულ ცნობიერებაში, ღვთისმშობლის ერთ-ერთი სიმბოლო; ხარების სცენის მანიშნებელი ყვავილი; სოლომონის მცენარე: „მე ვარ ნარგიზი შარონისა და ღელეთა შროშანი“ („ქებათა-ქება სოლომონისა“, II:1); მისი ტაძრის დამამშვენებელი, განსაკუთრებით გამორჩეული ყვავილი (მესამე მეფეთა, 7:19, 22, 26; გამოსლ., 25:31); მათესა და ლუკას სახარებებში მათთან შედარებული სოლომონი: „შეხედეთ, როგორ იზრდებიან ველის შროშანნი: არც შრომობენ, არც ართავენ. მაგრამ გეუბნებით თქვენ: თვით სოლომონი მთელი თავისი დიდებით არ იყო ისე შემოსილი, როგორც თვითეული მათგანი“ (მათე, 6:28-29; ლუკა, 12:27); XI საუკუნის ესპანეთში მცხოვრები ებრაელი პოეტის, მოშე იბნ ეზრას ჯემალ აჯიაშვილისეული თარგმანის მიხედვით, დევნილი ისრაელის სიმბოლო: „კვლავ გაბრწყინდება საქორწინო ქადა-ხმიადი,/ ჰანგი სტვირისა აამღერებს ღელის შროშანებს,/ ფრთებშეკეცილი ყორანივით წავა წყვდიადი/ და განთიადი ქედანივით შეიფრთოსანებს./ გაღმა გარდავა მწუხრის მისანი, სადმე ცის პირას ობლად მიჯდება,/ მზე მობრუნდება ნაყირმიზალი და ფიალებში ჩანარგიზდება“.

9. არსებობს ტიმოთეს „მიმოსლვის“ ოთხი ავტოგრაფი და ათეულობით დედნიდან გადაწერილი პირი. ელენე მეტრეველის მიერ გამოსაცემად შერჩეულია ყველაზე სრული C ავტოგრაფი.

მადლიერება: ტექსტზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი აწ განსვენებულ არქიტექტორ **თამაზ თევზაძეს** და კაპერნაუმის (გალილეა) თორმეტი მოციქულის სახელობის ეკლესიის იღუმენს, **არქიმანდრიტ ირინარხოსს**.

სტატიის სრული ტექსტი და გამოყენებული ლიტერატურის სია გამოქვეყნებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნეში“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 2021, 1.

ებრაული ცეკვა

ჯარის ქალი ქორწილში მიდის

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, ,
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30

EAJC EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003